საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

15 ივნისი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №158/17

-- 2017 წლის 12 სექტემბრის №158 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №158/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლე -- მის მიმართ გამოიტანა სრულიად მიკერძოებული განაჩენი.

-- განმარტებით საქმის არსებითი განხილვის დროს მოსამართლე იყო მიკერძოებული და იგი რეალურად იცავდა ბრალდების მხარის ინტერესებს. საჩივრის ავტორის განცხადებით, მას არ მიეცა საბოლოო სიტყვის თქმის და დაზარალებულისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა.

-- შეფასებით, მოსამართლე იყო გულგრილი სასამართლო პროცესების მიმართ და განაჩენის გამოტანისას გაიზიარა ბრალდების მხარის სრულიად უსაფუძვლო მტკიცებულებები.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის - -- 2017 წლის 31 ივლისის განაჩენით, -- ცნობილ იქნა დამნაშავედ:

საქართველოს სსკ 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ'' და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ'' ქ/პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 08 (რვა) წლის ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ 42-ე მუხლის საფუძველზე, ჩამოერთვა საწარმოო საზოგადოებაში მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობაზე საქმიანობის უფლება 01 (ერთი) წლისა და 06 (ექვსი) თვის ვადით.

-- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ'' ქ/პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 03 (სამი) წლის ვადით.

საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, --სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 08 (რვა) წლის ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ 42-ე მუხლის საფუძველზე, ჩამოერთვა საწარმოო საზოგადოებაში მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობაზე საქმიანობის უფლება 01 (ერთი) წლისა და 06 (ექვსი) თვის ვადით.

2017 წლის 3 მაისის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა დაზარალებული -- მოწმის დაკითხვის პროცესში, ბრალდებული -- ბრალდების მხარეს არ აძლევდა მოწმის პირდაპირი დაკითხვის შესაძლებლობას. ხმამაღალი გამონათქვამებით ცდილობდა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირებას და მოწმისთვის კითხვების დასმას, რისი საშუალებაც მოსამართლემ არ მისცა. ამასთან, მოსამართლემ ბრალდებულს არაერთხელ მისცა შენიშნვა და მოუწოდა წესრიგის დაცვისკენ. მიუხედავად ამისა, მოწმის დაკითხვის მიმდინარეობისას ბრალდებულმა -- პროცესის მონაწილე მოიხსენია ,,არაკაცად", რის გამოც მოსამართლემ -- გააძევა სხდომათა დარბაზიდან.

სასამართლო სხდომის ოქმების ანალიზიდან ირკვევა, რომ ბრალდებული -- საქმის არსებითი განხილვის სხვა სხდომებზეც არ ემორჩილებოდა მოსამართლის მითითებებს და გამოხატავდა სასამართლოსადმი უპატივცემულობას. მოსამართლე -- არაერთხელ მოუწოდა ბრალდებულს კორექტული ქცევისკენ, თუმცა ბრალდებული კვლავ განაგრძობდა სასამართლოსადმი

უპატივცემულო ქცევას, რის გამოც მოსამართლემ 2017 წლის 28 ივლისს ბრალდებული -- კვლავ გააძევა სხდომათა დარბაზიდან და საქმის არსებითი განხილვა დაასრულა ბრალდებულის გარეშე.

-- როგორც პროცესიდან გაძევებულ ბრალდებულს არ მიეცა საბოლოო სიტყვის თქმის შესაძლებლობა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს კანონის მე-75[10] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

მოსამართლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამოსამართლო ეთიკის წესების პირველი მუხლის თანახმად, „მოსამართლე მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კანონის შესაბამისად.“ იმავე წესების მე-10 მუხლის შესაბამისად, „მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი,

თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერებასა ან მისი უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე.“

ამასთან, ბანგალორის პრინციპების ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა მიუკერძოებლობა. ამ საკითხს მთლიანად მიეძღვნა ბანგალორის პრინციპების მე-2 თავი. ხსენებული პრინციპი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული, „მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.“ ბანგალორის პრინციპების 2.1 პუნქტის თანახმად, „მოსამართლემ თავისი სამოსამართლო ვალდებულებები უნდა განახორციელოს წინასწარი კეთილგანწყობის, ტენდენციურობის ან წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის გარეშე.“ იმავე პრინციპების 2.5 პუნქტის მიხედვით, „მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე იმ შემთხვევაში, თუ მისთვის შეუძლებელია საქმეზე მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება ან იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტურ დამკვირვებელს შესაძლოა გაუჩნდეს ეჭვი, რომ მოსამართლეს შეუძლია საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა.“

ასევე, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების 52-ე მუხლის თანახმად, „ობიექტურობა და მიუკერძოებლობა ძირითადი თვისებებია, რომლებიც მოსამართლეს უნდა ახასიათებდეს და მისი პროფესიის განუყოფელი ატრიბუტი უნდა იყოს. მიუკერძოებლობა რეალურად უნდა არსებობდეს და ასეთად აღიქმებოდეს. მიკერძოებისა და წინასწარი უარყოფითი განწყობის შეგრძნება უკმაყოფილებისა და უსამართლობის განცდას იწვევს და სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობას არყევს. იმის დადგენისას, თუ რამდენად მიუკერძოებლად გამოიყურება მოსამართლე საზოგადოების თვალში, კრიტერიუმად გამოიყენება საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის სტანდარტი. მოსამართლის მიუკერძოებლობა შეიძლება ეჭვქვეშ აღმოჩნდეს ზოგიერთი მიზეზის გამო, მაგალითად ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობის, სასამართლო დარბაზში მოსამართლის ქცევის ან მისი საურთიერთობო წრის, ასევე სასამართლოს ფარგლებს გარეთ საქმიანობის გამო.“ შესაბამისად, ხსენებული პრინციპის დარღვევაზე მაშინ შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც მოსამართლის მიკერძოება არა მხარის სუბიექტური შეგრძნებაა, არამედ „საღად მოაზროვნე გარეშე დამკვირვებლის“ მიერ ობიექტურ რეალობად მიჩნეული მოვლენაა.

ასევე, საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან,

როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა გამახვილდეს სსსკ 85-ე მუხლით განსაზღვრულ წესზე, კერძოდ, სსსკ 85-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მოსამართლის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს სასამართლოდან მის გაყვანას; ამასთანავე, აღნიშნული პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პირი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმის განხილვის დასრულებამდე. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაძევებულ პირს მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მისცეს სხდომაზე დაბრუნების უფლება. გაძევებული პირი სხდომაზე დაბრუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი სასამართლო დააკმაყოფილებს ამ პირის საჩივარს სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი გაძევების უკანონოდ ცნობისა და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებული -- საკუთარი ქმედებებით გამოხატავდა სასამართლოსადმი აშკარა უპატივცემულობას. ამასთან, მოსამართლემ არაერთხელ მოუწოდა ბრალდებულს წესრიგის დაცვისკენ, თუმცა ბრალდებული არ დაემორჩილა მოსამართლის მითითებებს, შესაბამისად, საქართველოს სსსკ 85-ე მუხლის საფუძველზე, მოსამართლე უფლებამოსილი იყო -- გაეძევებინა სხდომათა დარბაზიდან და საქმის არსებითი განხილვა დაესრულებინა ბრალდებულის საბოლოო სიტყვის გარეშე.

ამასთან, დაზარალებულის მოწმის სახით დაკითხვის სხდომასთან დაკავშირებით (რაზეც

ბრალდებული მიუთითებს, რომ არ მიეცა კითხვების დასმის შესაძლებლობა) მნიშვნელოვანია განიმარტოს რომ:

საქართველოს სსსკ 242-ე მუხლის თანახმად, მტიცებულებათა გამოკვლევა იწყება მხარეების მიერ შესავალი სიტყვების წარდგენის შემდეგ. პირველად იკვლევენ ბრალდების მხარის, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობასა და მოცულობას განსაზღვრავს თვით წარმდგენი მხარე. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, ხოლო დაცვის მხარის წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში – ბრალდების მხარე.

საქართველოს სსსკ 244-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირდაპირ დაკითხვას აწარმოებს მხარე, რომელმაც დასაკითხი მოწმე გამოიძახა.

განსახილველ შემთხვევაში დადგინდა, რომ დაზარალებული იკითხებოდა პირდაპირი დაკითხვის წესით. შესაბამისად, ვიდრე ბრალდების მხარე არ დაასრულებდა მოწმის დაკითხვის პროცესს -- უფლება არ ჰქონდა კითხვებით მიემართა დაზარალებულისთვის ან ხმამაღალი გამონათქვამებით ხელი შეეშალა პროკურორისთვის მოწმის პირდაპირი დაკითხვის პროცესში.

საქართველოს სსსკ 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.

შესაბამისად, მოსამართლეს ევალებოდა შეეჩერებინა -- და ბრალდების მხარისთვის მიეცა მოწმის პირდაპირი დაკითხვის დასრულების შესაძლებლობა. ამასთან, საქმეში გამოვლენილი ფაქტებიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილი იყო ბრალდებული გაეძევებინა სხდომათა დარბაზიდან.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი სხდომის ოქმების აუდიო ჩანაწერებისა და საქმის მასალების დეტალური ანალიზის შედეგად არ იკვეთება მოსამართლის მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

რაც შეეხება, ბრალდებულის განმარტებას, რომ მოსამართლის მიერ მიღებული განაჩენი არის დაუსაბუთებელი, აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი განაჩენის კანონიერებაზე და მის დასაბუთებულობაზე. განაჩენის ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75^{1}-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10}-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75^{12}-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №158/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი